საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/250 " 29 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 დეკემბრის №1/243 და №1/145 განკარგულებებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ვასილ მშვენიერაძე და გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თეიმურაზ სიხარულიძე გამწესდნენ სხვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემდეგი განკარგულებები:

ა) „თ. სიხარულიძის გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 ივლისის №1/101 განკარგულება;

ბ) „ვ. მშვენიერაძის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №1/121 განკარგულება;

გ) „ვ. მშვენიერაძის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 25 სექტემბრის №1/133 განკარგულება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე